საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/124 "15" ივლისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ზ. რამიშვილის საჩხერის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

„საჩხერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ი. ყიფიანის შვებულების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის 2021 წლის 23 ივნისის №9 §II ბრძანების შესაბამისად ივანე ყიფიანი შვებულებით ისარგებლებს 2021 წლის 10 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით. ვინაიდან, ი. ყიფიანი საჩხერის რაიონულ სასამართლოში უფლებამოსილების განმახორციელებელი ერთადერთი მოსამართლეა, მისი შვებულების ყოფნის პერიოდში მიზანშეწონილია საჩხერის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მივლინებულ იქნეს სხვა მოსამართლე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში, მოსამართლის არყოფნის გამო, მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართათ ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს. 2021 წლის 2 ივლისს მიღებულ იქნა მოსამართლე ზაზა რამიშვილის თანხმობა. ვინაიდან, მივლინება მხოლოდ 19 სამუშაო დღეს მოიცავს, ეს არ გამოიწვევს მოსამართლე ზაზა რამიშვილის დატვირთულობის მნიშვნელოვნად გაზრდას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ზაზა რამიშვილი მივლინებულ იქნეს საჩხერის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2021 წლის 10 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით.

2. ზაზა რამიშვილმა იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს ხაშურის რაიონულ სასამართლოში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი